

ный метод рассматривает и описывает минимальную рамку с которым должен руководствоваться банк при проведении стрес-тестов (например: риск на ковенантских обязательствах, риск фондирования/ликвидности и др.).

При наличии низкого качества статистической информации, в том числе для придания стрес-тестам ориентацию на будущее, основные части стрес-тестов должны проповадится на уровне транзакций.

Стрес-тесты должны включать в себя системные экономические и секторного значения шоки, воздействие которых на банк материальны. Одновременно должно предусматриваться как положительные корелационные так и те шоки воздействие в месте которых не исключено. Это не исключает то что, банк должен одновременно выдержать все эти шоки. Для снятия этих шоков адекватный объем капитала будет зависеть от тех контрактических и консервационных буферов которых установит Государственный Банк Грузии. А также со стороны банка в стрессовой ситуации привлечено дополнительного капитала. Для части стрессового сценария возможно применять паказателя надзирательного минимального капитала, а для целого сценария только платежеспособность.

საქართველოს საბანკო სისტემის მდგრადობის ხარისხი უკანასკნელ წლებში თანდათანობით ამაღლდა, რაც მიღწეულ იქნა საბანკო სისტემაში სტრუქტურული გარდაქმნებისა და სრულყოფის, ცალკეული საბანკო დაწესებულებების სტაბილურობის ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის გაუმჯობესებით. კერძოდ, საქართველოში ჩამოყალიბდა კომერციული ბანკების აქტივების, საკრედიტო დაბანდებების, მოზიდული სახსრების, ანაბრების მოცულობის და წმინდა მოგების ზრდის ტენ-დენცია. ზემოთქმულს ხელი შეუწყო კომერციული ბანკების მხრიდან სტრუქტურული განხორციელებამ, რაც განპირობებულია ქვეყნის ეროვნული ბანკის მოთხოვნით.

რამდენადაც აღნიშნულ სტატიაზე მუშაობა
უფრო ადრე დავიწყეთ ვიდრე საქართველოს
ეროვნულ ბანკს გამოეყოფოდა საბანკო ზედა-
მხედველობის ფუნქცია, ავტორები იტოვებენ
იმედს, რომ აღნიშნულ კვლევაში ეროვნული
ბანკის როლის შესახებსაუბარი არ იქნება არა-
სწორად გაგებული. საბანკო ზედამხედველო-
ბის ფუნქციის ჩამოთმევის საკითხის განხილვა
(კალე) საკვლევი მასალა და თემაა.

საქართველოს ეროვნული ბანკი თანმიმდევრულად ავითარებს სტრეს-ტესტების მეთოდოლოგიას. მნიშვნელოვანია იმ სცენარებისა და რისკ-ფაქტორების გამოვლენა და შე-

ფასება, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, ბანკება რეგულარულად უნდა აწარმოოს სტრეს-ტესტები და განიხილოს შედეგები ზედამხედველთან. მოცემული კვლევა განმარტავს ზოგად პრინციპებს და აღნერს იმ ძირითად მინიმალურ ჩარჩის, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ბანკმა სტრეს-ტესტების ჩატარებისას.

სტრეს-ტესტი უნდა ჩატარდეს მთლიანად ბანკის დონეზე (წტერპრისე ლეველ სტრესს) და მოხდეს ბანკის მთლიან ფინანსურ მდგომარეობაზე სხვადასხვა შოკისა და მათთან ურთიერთ-დაკავშირებული ეფექტის შეფასება. მაგალითად, მაკრო შოკების გავლენა საკრედიტო რისკზე, ლიკვიდობაზე, მომგებიანობაზე. ასევე, გაცვლითი კურსის ცვლილების სცენარის შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას მისი ეფექტი ბანკის ბალანსის გადაფასებაზე (საბაზო რისკი), აქტივების ხარისხზე (საკრედიტო რისკი), ვალდებულებების კოვენანტებზე (პერსონალური სივრცე, კერძო სივრცე) (ლიკვიდობის/ფონდირების რისკი) და სხვა.

სტატისტიკური ინფორმაციის დაბალი ხარისხის გამო, ასევე, სტრუქტურული მეტად მომავალზე ორიენტირებული ხასიათის მისაცემად, სტრუქტურული მირიანდის ნაწილი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა ჩატარდეს ტრანზაქციის დონეზე (Transaction level stress). მოცემული მეთოდი გულისხმობს ეკონომიკური პარამეტრების ცვლილების შედეგად მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შეფასებას, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს მიღებული შედეგების აგრეგირება და ინტეგრირება მთლიანად ბანკის დონეზე განხორციელებული შემთხვევის საფუძველზე.

სტრეს-ტესტები უნდა მოიცავდეს ეკონომიკური ხასიათის სისტემური და სექტორული მნიშვნელობის შოკებს, რომელთა გავლენაც ბანკზე მატერიალურია. ერთდღოულად უნდა იქნას გათვალისწინებული როგორც დადებითად კორელირებადი, ასევე ის შოკები, რომელთა ერთდღოული მოხდენა არ არის გამორიცხული. ეს არ გულისხმობს, რომ ბანკმა ერთდღოულად უნდა გაუძლოს ყველა შოკს. ამ შოკებისთვის ადეკვატური კაპიტალის მოცულობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა მოთხოვნებს დააწესებს სებ-ი კონტრაციკლური და კონსერვაციის ბუფერებისთვის, ბანკის მხრიდან სტრესულ სიტუაციაში დამატებითი კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობაზე. ამასთან, სტრესული სცენარის გარკვეული ნაწილი

სათვის შესაძლოა მისაღები იყოს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მაჩვენებლის დაცვა, ხოლო მთლიანი სცენარისათვის მხოლოდ გადახდისუნარიანობა.

სტრეს-ტესტების ჩარჩოს შემდგომი დახვეწისათვის, მაკრო სტრეს-ტესტებთან ერთად, საქართველოს ეროვნული ბანკი ავითარებს მიკრო სტრეს-ტესტების ჩარჩოს. აღნიშნული მიდგომა უფრო მაღალი სიზუსტის მიღწევის საშუალებას იძლევა, ითვალისწინებს რა საკრედიტო რისკის ამსახველ კოეფიციენტებს. სტრეს-ტესტების შედეგების ინტენსიური გამოყენება მოხდება ბაზელ II-III-ის საზედამხედველო განხილვის პროცესის ფარგლებში.

საზედამხედველო სტრეს-ტესტების მეთოდოლოგია ბანკებისათვის მნიშვნელოვანია იმ სცენარებისა და რისკ-ფაქტორების გამოვლენისა და შეფასებისათვის, რომელთაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ბანკის ფინანსურ მდგრადობაზე. შესაბამისად, ბანკმა რეგულარულად უნდა აწარმოოს სტრეს-ტესტები და განიხილოს შედეგები ზედამხედველთან. აღნიშნული, ასევე მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ბაზელ II და III მიხედვით საზედამხედველო განხილვის დროს ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებისას. მოცემული მეთოდური სახელმძღვანელო განმარტავს პრინციპებს და აღნერს იმ ძირითად მინიმალურ ჩარჩოს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ბანკმა სტრეს-ტესტების ჩატარებისას.

ძირითადი სტრესული სცენარი მოიცავს შემდეგ პარამეტრებს: მშპ და მისი სექტორული განაწილება, საოჯახო მეურნეობის შემოსავლები, უმუშევრობა, სავალუტო კურსი, უძრავი ქონების ფასები, საპროცენტო განაკვეთები და სასაქონლო პროდუქტების ფასები, სექტორული რისკები და ასევე სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური არასტაბილურობა ან სავაჭრო ბარიერები.

დამატებით, ბანკმა უნდა გამოავლინოს მისთვის სპეციფიკური ფაქტორები, რომელთა ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ მდგომარეობაზე. მაგალითად, საბანკო პოლიტიკის საკრედიტო რეიტინგის დაქვეითება, შემოსავლების მხრივ გარკვეულ პროდუქტებზე კონცენტრაცია, რომელთაც სტრეს-ტესტების ჩარჩო არ ფარავს და სხვა დამატებითი ფაქტორები, რომელთა მიმართ ბანკი მატერიალურად მგრძნობიარება.

სტრეს-ტესტების მიზნებისათვის საბანკო ინსტიტუტის აქტივები და გარებალანსური მუხლები უნდა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

1. კორპორატიული პორტფელი (საბალანსო, გარესაბალანსო) — ინდივიდუალურად შესაფასებელი;
2. კორპორატიული და მცირე/საშუალო პორტფელი (საბალანსო, გარესაბალანსო) — შერჩევით შესაფასებელი;
3. საცალო პორტფელი (საბალანსო, გარესაბალანსო) — შერჩევით ან სხვადასხვა მოდელის საშუალებით შესაფასებელი;
4. ფიქსირებული აქტივები — შენობა-ნაგებობები, მიწა;
5. დასაკუთრებული ქონება — შენობა-ნაგებობები, მიწა;
6. სხვა აქტივები;
7. ინვესტიციები არასაფინანსო კომპანიებში;
8. ინვესტიციები საფინანსო კომპანიებში;
9. ლიკვიდური აქტივები, ბანკთაშორისის ჩათვლით;
10. სხვა გარებალანსური მუხლები.

ზემოთ წარმოდგენილის გარდა, ბანკმა ინდივიდუალურად უნდა მოახდინოს ისეთი რისკების იდენტიფიცირება და მათზე სტრეს-ტესტების ჩატარება, რომელთა მიმართაც მისი აქტივები და გარესაბალანსო მუხლები მგრძნობიარება აქტივების დარჩენილი სამი კატეგორიისთვის ("სხვა აქტივები", "ლიკვიდური აქტივები, ბანკთაშორისის ჩათვლით", "სხვა გარებალანსური მუხლები"). სტრეს-ტესტი უნდა ჩატარდეს ბანკის დისკრეციით და მეთოდოლოგიით, რაც წინასწარ უნდა შეთანხმდეს საქართველოს ეროვნულ ბანკთან.

ბანკმა უნდა უზრუნველყოს პორტფელის ჩაშლა ერთგვაროვან კატეგორიებად და მოახდინოს პორტფელის ძირითადი მაჩვენებლების (მაგ. მსესხებელთა დაყოფა შემოსავლის მოცულობების მიხედვით) განაწილება. განსაზღვროს სტრესის შემდეგ ძირითადი მაჩვენებლების ლიმიტები, რომელიც გავლენას მოაძენს სესხის კლასიფიკაციაზე. აღნიშნული ლიმიტები უნდა შეთანხმდეს ბანკის ზედამხედველთან. ამასთან, საცალო პორტფელში მოხვედრილი სესხები, რომელებსაც დაფარვის წყარო გააჩნია ბიზნესიდან, სტრეს-ტესტების მიზნებისათვის ანალიზს დაექვემდებარება კორპორატიული მსესხებების ანალოგიურად. შეფასების განსხვავებული მიდგომის მიუხედავად, მსგავსი სესხები დარჩება შესაბამის კატეგორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოვზანაძე ი. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა
<http://www.sabanko.com/wignisschinaarsi/> T.4
 გვ101-114
2. მანაგაძე ი. „საქართველოს საბანკო სისტემა XXI საუკუნის მიჯნაზე“ უურნ. „ბანკი.“ 2000. №1. გვ. 3.
3. Brunnermeier, M., A. Crockett, C. Goodhart, A. Persaud, and H. S. Shin. 2009. The Fundamental Principles of Financial Regulation. Geneva and London: International Center for Monetary and Banking Studies, and Centre for Economic Policy Research, London. gv.32-57
4. Лаврушина О. И. "Банковская система в современной экономике" [учебно-пособие] – 2-е изд., стер. – М.: КНОРУС, 2012. – 368 с.
5. Тавасиев А. М. Банковское дело: управление кредитной организацией. [Текст] Учебное пособие. М.: Издательско-торговая корпорация 2007.- 668 с.

კორპორაციული გართვის სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი საქართველოში

**კახაპერ ჟღენტი - საქართველოს საბატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი**

რეზიუმე

სტატიაში ხაზგასმულია, რომ საქართველოში დღეისათვის არსებული ბიზნეს გარემოს ყველაზე პოპულარული ტენდენციაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და I-ზე გასვლის პერსპექტივების უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, კომპანიისათვის მეტად მნიშვნელოვანია კორპორაციული მენეჯმენტის საკითხების დარეგულირება, რომელიც მეტად საყურადღებოა ინვესტორისათვის. დასაბუთებულია, რომ საქართველოში კორპორაციული მართვის პრობლემების მინიმუმამდე დასაყვანად აუცილებელია: კორპორაციათა სამეთვალყურეო საბჭოში წარდგენილი იქნეს დამოუკიდებელი წევრები, რომლებიც ინვესტორისათვის გარკვეულ გარანტიას წარმოადგენენ; გაძლიერდეს კომპანიის შიდა კონტროლი და მონიტორინგი; კომპანიებში ჩამო-ყალიბდეს ისეთი დამხმარე ორგანოები, როგორიცაა კომი-

ტეტები და კორპორაციული მდივანი; დაინერგოს შეფასების მექანიზმი, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს დასავლეთის ქვეყნებში, რათა კომპანიონებმა განსაზღვრონ რამდენად ნაყოფიერია მმართველობითი ორგანოების ფუნქციონირება და რა ნაკლოვანებები გააჩნია მათ საქმიანობას; სახელმწიფომ, თავის მხრივ, განსაზღვროს კომპანიათა მართვის მინიმალური სტანდარტები და დანერგოს უფრო ეფექტური და მოქნილი მარეგულირებელი ნორმები.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული მართვა, კორპორაციული მდივანი, კორპორაციული მენეჯმენტი, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.

Main directions of improvement of corporate governance in Georgia

Kakhaber Jgenti

Summary